გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის

მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

შ.პ.ს " მერიდიანი – 2006 " დირექტორის

დავით გვარჯალაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ლევან,

თქვენი მ/წლის 9755/01 კორესპონდენციის პასუხად, რომელიც ეხებოდა ახალციხის რაიონში, სოფელ კლდეში (კოორდინატები: 337495 X 4614119) ჩემს კუთვნილებაში არსებულ ვულკანური წიდის (პემზის) საფქვავის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით განახლებული ინფორმაციის წარმოდგენას.

გაცნობებთ, რომ საწარმო ფუნქციონირებას იწყებს 2018 წლიდან, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის 7 არაორგანიზებული წყარო (მტვრის გაფრქვევა სამსხვრევი დანადგარიდან (გაფრქვევის წყარო გ-1), მტვრის გაფრქვევა ავტოთვითმცლელებიდან პემზის ნედლეულის საწყობში ჩაყრისას (გაფრქვევის წყარო გ-2), მტვრის გაფრქვევა სამსხვრევის ბუნკერში პემზის ჩაყრისას (გაფრქვევის წყარო გ- 3), მტვრის გაფრქვევა ლენტური ტრანსპორტიორებიდან პემზის საწყობში ჩაყრისას (გაფრქვევის წყარო გ- 4), მტვრის გაფრქვევა პემზის ლენტური გადაადგილებისას (გაფრქვევის წყარო გ- 5), მტვრის გაფრქვევა მზა პროდუქციის საწყობიდან (გაფრქვევის წყარო გ- 6), მტვრის გაფრქვევა ნედლეულის საწყობიდან (გაფრქვევის წყარო გ- 7)).

საწარმოს დაბინძურების წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა პემზის მტვერი. საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ გაფრქვეულ მტვრის წლიური რაოდენობა შეადგენს: პემზის – 27,823 ტონა (2,319 გ/წმ).

საწარმო პროცესები მიმდინარეობს ღია ცის ქვეშ აირმტვერდამჭერი მოწყობილობების და სავენტილიაციო სისტემების გარეშე. საამქროს ფუნქციონირების შედეგად მტვერით (კოდი 2909, მავნეობის საშიშროების კლასი 3, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, (ზდკ)მგ/მ3 მაქსიმალური ერთჯერადი -0,5, საშუალო სადღეღამისო -0,15) , პროდუქცია წარმოდგენილია

№14762
"15" 11 2018
2/3 ფ.
02

და წლიურად საწარმო გამოუშვებს სულ 50000 მ3 (40000 ტ) სხვადასხვა ფრაქციის ვულკანური წიდას - პემზას. პემზას საწარმო ღებულობს ავტოთვითმცლელებით და ათავსებს ნედლეულის საწყობში, საიდანაც იგი მიეწოდება ჯერ სამსხვრევ დანადგარის ბუნკერს, ხოლო შემდეგ ყბებიან / დოლურას (ყბა სამსხვრევი 109, დენის წყარო 200 კვ, ვიბრაცია არ ხდება, ხმაურის დონე უმნიშვნელოა) ტიპის სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარებს. ამ დანადგარებზე ხდება პემზის ორჯერადი ნსხვრევა მშრალი მეთოდით. დანადგარებზე პემზა იმსხვრევა სხვადასხვა ზომის ფრაქციებად, რომლებიც შემდგომ ლენტური ტრანსპორტირების საშუალებით, საწყობდება მზა პროდუქციის პემზის საწყობში.

ობიექტის ფუნქციონირების დროს არ ესაჭიროება წყლით სარგებლობა, აღნიშნულიდან გამომდინარე არ ხდება წყალაღება და წყალჩაშვება, ცენტრალური მაგისტრალიდან დაშორებულია 600 მეტრით, მდინარე ფოცხოვიდან დაშორებულია 1 კმ-ით. დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 2 კმ-ით. კუთვნილი ობიექტის მიმდებარედ სხვა ობიექტი არ მდებარეობს.

გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას და ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართით 5.1 პუნქტით „სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება" გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

დანართი №1 -"დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები"

დანართი №2 - გენ გეგმა

პატივისცემით

დ. გვარჯალაძე

შ.პ.ს " მერიდიანი – 2006 " -ს დირექტორი

დანართი 1

დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები

1. პროექტის განხორციელების ადგილი: ახალციხის რაიონი, სოფელი კლდე, დასახლებული პუნქტიდან დაშორებულია 2 კმ-ით. კოორდინატები x- -337495 y – 4614119.
2. საქმიანობის მასშტაბი: ვულკანური წიდა (პემზა) – 50000 მ^3/ წელი (40000 ტ/წელი)
3. გამოყენებული დანადგარი: პემზის სამსხვრევი დანადგარი გამოყენებული საწვავი: საწვავი არ გამოიყენება
4. ვულკანური წიდის (პემზის) დაფქვისათვის ვულკანური წიდა (პემზა) – 50000 მ^3/ წელი (40000 ტ/წელი)
5. საქმიანობის ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება: ობიექტის სიახლოვეს სხვა საწარმო არ ფუნქციონირებს.
6. ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება:
   - ნიადაგის და გრუნტის ხარისხი – საქმიანობის განსახორციელებლად არსებული ტერიტორია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულებისაა, ზემოქმედება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი არ არის.
   - წყლის რესურსები – საწარმო მდინარესთან ახლოს არ მდებარეობს(მდინარე ფოცხოვიდან დაშორებულია 1 კმ-ით.) ობიექტის ფუნქციონირების დროს არ ესაჭიროება წყლით სარგებლობა, აღნიშნულიდან გამომდინარე არ ხდება წყალაღება და წყალჩაშვება.
   - დაცული ტერიტორიები – საწარმო არ მდებარეობს დაცულ ტერიტორიასთან სიახლოვეს, შესაბამისად ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.
   - ბიომრავალფეროვნება – საწარმოს ტერიტორია თავისუფალია მცენარეული საფარისაგან და შესაბამისად პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მცენარეულ საფარზე და ცოცხალ ორგანიზმებზე ზემოქმედებას.
   - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები – საწარმოს ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები
   - ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება - საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება არ არის მნიშვნელოვანი.
7. ნრჩენების წარმოქმნა: საწარმოს ფუნქციონირებისას ნარჩენების დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება სამუშაოს მასშტაბებიდან გამომდინარე არ არის მნიშვნელოვანი და მათი მართვა (შენახვა და განთავსების ან აღდგენის მიზნით ნებართვის მქონე ორგანიზაციაზე გადაცემა) განხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, ტერიტორიაზე დადგმული საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენები პერიოდულად იქნება გატანილი მუნიციპალური დასუფთავების სამსახურის მიერ (გაფორმებული ხელსეკრულების საფუძველზე.
8. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი – საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი თითქმის არ არსებობს, შეძენილი იქნება ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და უსაფრთხოების საკითხებზე დასაქმებულებს ჩაუტარდებათ შესაბამისი სწავლება.

შიდა საკადასტრო აზომვითი ნახაზი
გაფრქვევის წყაროების ჩვენებით

მესაკუთრე	ჯ.ვ.ს ძეხიდლიანი-2006 ლიხეიტ.ლ. გვარჯვალაძე 568-707-702 ტ.
ობიექტის მისამართი	ახალციხის ხ-ი სოფელი ვალე
საკუთრების დამადასტურებელი საბუთი	ავთენტური სანჯარო რეესტრიდან 62.06.59.348
მიწის ფართობი	6500.00 კვ.მ.
თარიღი	02. 10. 2018

ჩ

ს

ბუნებრივი წიდის (ხევზის) სამსხვრევი

(ა-1) — მიმღები ბუნკერი

(ა-2) — საცერი

(ა-3) — სამსხვრევი

(ა-4) — სამსხვრევი

(ა-5) — საცერი

(ბ-1) — ხევზის ფრაქცია 0-16 მმ.

(ბ-2) — ხევზის ფრაქცია 5-25 მმ.

(ბ-3) — ხევზის ფრაქცია 25-50 მმ.



ი/მ გივი ბოჩიკაშვილი	

ქ. ბ. ოსტროვსკი

ვაჟიანობის 15

ნოსტალგია ლაგვილი

4700/002 993

ქ. თბილისი

ბინიანი ალიევების ფ/ნ №6

ჯანიანების ლაგვილი ლ. ჩიგოევის

ბინიანობის ს.ს. მინერალური

საქართველოს ფოსტა

0100005705667

Georgian Post